ხელშეკრულება №02/314

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა

(პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახური)

ქ. თბილისი 27 ივლისი 2011 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი მაკასარაშვილის სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ა/ა 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური"
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის როლა შავლაყაძის სახით,
მის: ქ. თბილისი დ.უზნაძის ქ. #45; ტელ: 295-59-81
საიდენტიფიკაციო კოდი: 202887787
საბანკო რეკვიზიტები: სს„ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა: 019467434
(შემდგომში "მიმწოდებელი")

ხელშეკრულება გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის #200 განკარგულების საფუძველზე,

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახემწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში-"ხელშეკრულება")- შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუზველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის **სისხლისა და სისხლის კომპონენტების შესყიდვა** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2 CPV კოდი: 33100000 - სამედიცინო მოწყობილობები.

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა, ერთეულის ფასები და აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი #1**, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერით.)

3.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებას აწარმოებს სამედიცინო ანალიზის, კონტროლისა და მომარაგების სამმართველოს უფროსი გიორგი ფრუიძე.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარებში.

4.2 დაფინანსების წყარო: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და ა.შ.) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ფასები

5.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

5.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - **2575,00 ლარს (ორი ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი).**

6. საქონლის მიწოდების პირობები, ხარისხი და ვარგისიანობის ვადა

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მოთხოვნიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში;

6.2 შესყიდვების ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს **დანართი #2-ში** მითითებულ მისამართებზე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.3 მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობია ვადა ვრცელდება საბოლოო მიღება_ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 70%-სა.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრულ ვარგისიანობის ვადის პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 კონტროლს განახორციელებს სამინისტროს – სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქონლით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ფრუიძე.

7.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 1 (ერთი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

11.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.5 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.6 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.7 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი ეგზემპლარი _ ,,შემსყიდველთან''.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

[illegible]

მიმწოდებელი:

შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“

ოლა შავლაყაძე

დანართი N1

ფასების ცხრილი

#	დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ერითროციტარული მასა	33141510	40 (დოზა)	45.00	1800.00
2	ახლად გაყინული პლაზმა (ა.გ.პ.)	33141510	15 (დოზა)	45.00	675.00
3	გარეცხილი ერითროციტარული მასა	33141510	2 (დოზა)	50.00	100.00
	სულ ჯამი:				2575,00 ლარი

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გიორგი მაკასარაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“

როლა შავლაყაძე

დანართი #2

საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

ზემოაღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 1 (ერთი) სამუშაო დღეში, შემდეგ მისამართებზე:

1. **N18 სჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება,** მის: თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ. მე-2 კმ. (მთ. ექ. ვლადიმერ ხარებაძე 877 222 383);

შემსყიდველი:
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ვიოლეტა მაჭარაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“

როლა შავლაყაძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 27/07/2011

მიმწოდებელი: შპს,,სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური"

ხელშეკრულების № 02/314

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

გიორგი მაკასარაშვილი _____

ამირან ჯეგისაშვილი _____

გიორგი გორაძე _____

ლევან მაღლაკელიძე _____

გიორგი ფრუიძე _____

შეთანხმების აქტი #1

27.07 2011 წლის #02/314 ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი 12 სექტემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 42,
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
შპს "სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური"
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის როლა შავლაყაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ#45
საიდენტიფიკაციო კოდი: 202887787
საბანკო რეკვიზიტები: „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ა/ა: 019467434

2011 წლის 27 ივლისს გაფორმებული №02/314 ხელშეკრულების მე-8 მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის #9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-20 მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, კერძოდ:

1. ხელშეკრულების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: იხილეთ **დანართი #1 - ფასები ცხრილი**
2. ხელშეკრულების ყველ სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.

წინადებარე "შეთანხმების აქტი" წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

_____
გიორგი არსოშვილი

მიმწოდებელი:

"სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური"

_____
როლა შავლაყაძე

დანართი1

ფასების ცხრილი

#	დასახელება	Cpv კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ერითროციტარული მასა	33141510	34(დოზა)	45.00	1530.00
2	ახლად გაყიული პლაზმა	33141510	21(დოზა)	45.00	945.00
3	გარეცხილი ერითროციტარული მასა	33141510	2(დოზა)	50.00	100.00
			სულ ჯამი:		2575.00 ლარი

"შემსყიდველი"

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გიორგი არსოშვილი

"მიმწოდებელი"

შპს "სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური"

რთლა შავლაყაძე